მთავრობის ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში მთავრობის ვალის ნაშთი და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამისი პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამი 2023 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს 30 082.1 მლნ ლარს.

ზემოხსენებული ჯამური ვალდებულება მოიცავს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო ვალს, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღებული ვალდებულებებისა - 29 927.8 მლნ ლარს, საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხების არსებულ ნაშთს - 84.1 მლნ ლარს და საჯარო და კერძო თანამშრომლობის კრიტერიუმების შესაბამისი პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულებას - 70.2 მლნ ლარს.

მთავრობის საგარეო ვალი

მთავრობის საგარეო ვალის ნაშთი, 21 721.5 მლნ ლარი, მთლიანი მთავრობის ვალის 72%-ია. აღნიშნული საკრედიტო რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისგან ქვეყნისათვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია და ძირითადად შედგება გრძელვადიანი სესხებისგან - პორტფელის საშუალო შეწონილი საკონტრაქტო ვადიანობა შეადგენს 21.5 წელს, საშუალო შეწონილი ვადიანობა დაფარვამდე შეადგენს დაახლოებით 9.7 წელს, ხოლო მთავრობის საგარეო ვალის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 3.33%-ს.

მთავრობის ვალის სტრუქტურა 2023 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით



საშუალო შეწონილი:
- საპროცენტო განაკვეთი **3.33%**
- საკონტრაქტო ვადიანობა **21.5 წელი**
- დარჩენილი ვადიანობა **9.7 წელი**

2023 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით მთავრობის საგარეო ვალის პორტფელის 50.3% შედგება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებისგან. ეს გარემოება ხელს უწყობს საქართველოს მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების პარამეტრების დაცულობას საპროცენტო განაკვეთების ეგზოგენური რყევებისგან და უზრუნველყოფს ვალის მომსახურების ხარჯების შენარჩუნებას დაბალ დონეზე.





მთავრობის საგარეო ვალის სტრუქტურა - 2023 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

კრედიტორი	ვალუტა	ნაშთი ათასი აშშ დოლარი	ნაშთი ათასი ლარი	საპროცენტო განაკვეთის ტიპი	საპროცენტო განაკვეთი
მთავრობის საგარეო ვალი		**8,030,716**	**21,721,482**		
მრავალმხრივი კრედიტორები		**5,981,013**	**16,177,443**		
განვითარების საერთაშორისო ასოციაცია(WB - IDA)	SDR	598,808	1,619,656	Fixed	1.17%
რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი(WB - IBRD)	EUR	134,827	364,681	Fixed	2.21%
	EUR	419,040	1,133,420	Euribor + VS	4.72%
	USD	914,241	2,472,840	Ref.Rate + VS	6.29%
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	SDR	23,211	62,782	Fixed	1.22%
	SDR	2,470	6,681	(Ref.Rate + IBRD VS)/2	2.59%
	EUR	11,381	30,784	Euribor+VS	5.06%
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF EFF,MOF)	SDR	193,178	522,508	SDR Rate of Charge	5.20%
ევროკავშირი (EU)	EUR	140,646	380,420	Fixed	0.38%
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD)	EUR	223,939	605,710	Euribor + 1%	4.90%
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	SDR	428,590	1,159,249	Fixed	1.63%
	EUR	493,997	1,336,164	Fixed	1.05%
	EUR	804,822	2,176,883	Euribor + FS	4.59%
	USD	406,422	1,099,291	Ref.Rate + FS	6.11%
აზიის ინფრასტრუქტურის განვითარების ბანკი (AIIB)	USD	64,010	173,135	Ref.Rate + VS	7.15%
	EUR	139,711	377,891	Euribor + VS	4.71%
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	EUR	11,411	30,865	Fixed	2.17%
	EUR	953	2,579	Euribor + VS	4.08%
ევროპის საინვესტიციო ბანკი(EIB)	EUR	555,631	1,502,871	Fixed	1.61%
	EUR	411,905	1,114,120	Euribor + FS	4.32%
სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	EUR	1,817	4,913	Euribor + VS	5.93%
ორმხრივი კრედიტორები		**1,549,704**	**4,191,639**		
ავსტრია	EUR	12,916	34,936	Fixed	1.00%
აზერბაიჯანი	USD	2,230	6,031	Fixed	3.00%
თურქმენეთი	USD	211	571	Fixed	0.00%
თურქეთი	USD	4,342	11,744	Fixed	3.25%
ირანი	USD	1,626	4,399	Fixed	3.00%
რუსეთი	USD	15,241	41,225	Fixed	4.00%
სომხეთი	USD	1,967	5,320	Fixed	3.00%
ყაზახეთი	USD	2,425	6,560	Fixed	4.00%
გერმანია (KfW)	EUR	474,576	1,283,633	Fixed	1.13%
	EUR	144,452	390,714	Euribor + FS	4.41%
იაპონია	JPY	133,200	360,280	Fixed	0.76%
ქუვეითი	KWD	11,432	30,921	Fixed	2.69%
ნიდერლანდების სამეფო	EUR	48	131	Fixed	4.20%
ამერიკის შეერთებული შტატები	USD	9,339	25,259	Fixed	2.25%
საფრანგეთი	EUR	483,386	1,307,463	Fixed	1.08%
	EUR	252,311	682,450	Euribor + FS	4.69%
ფასიანი ქაღალდები		**500,000**	**1,352,400**		
ევრობონდი	USD	500,000	1,352,400	Fixed	2.75%
	საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი				**3.33%**

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტების ათვისებას 1 388 492.5 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, ბიუჯეტის მხარდამჭერი რესურსის სახით 450 000.0 ათასი ლარის მობილიზებას:

- ✓ საქართველოს მწვანე და მდგრადი განვითარების პოლიტიკის მეორე ოპერაციის (GRID DPO-II) ფარგლებში მსოფლიო ბანკიდან (WB) მისაღები სახსრები - 135 000.00 ათასი ლარის ოდენობით;;
- ✓ საქართველოს მწვანე მიმართულებაზე გადასვლის პროგრამის ფარგლებში საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) მისაღები სახსრები - 134 400.00 ათასი ლარის ოდენობით;
- ✓ საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამის ფარგლებში:
  - მსოფლიო ბანკიდან (WB) მისაღები სახსრები - 86 400.00 ათასი ლარის ოდენობით;
  - საფრანგეთის განვითარების სააგენტოდან (AFD) მისაღები სახსრები - 27 000.00 ათასი ლარის;

- ✓ ჯანდაცვის სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკიდან (ADB) მისაღები სახსრები - 67 200.00 ათასი ლარის ოდენობით;

სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 2 125 000.0 ათასი ლარი, საიდანაც 1 375 000.0 ათასი ლარი წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 750 000.0 ათასი ლარი - პროცენტის თანხას.

საგარეო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2024 წლისთვის (პროგნოზი)

ათასი ლარი

კრედიტორები	**ვალების დაფარვა**	**პროცენტი**	**სულ 2024**
	1,375,000.0	***750,000.0***	***2,125,000.0***
ავსტრია	5,400.0	300.0	5,700.0
ქუვეითი	5,200.0	800.0	6,000.0
იაპონია	21,500.0	2,700.0	24,200.0
გერმანია	251,000.0	60,595.0	311,595.0
აშშ	6,700.0	500.0	7,200.0
სომხეთი	2,800.0	100.0	2,900.0
აზერბაიჯანი	3,100.0	200.0	3,300.0
ირანი	2,300.0	100.0	2,400.0
ყაზახეთი	3,400.0	200.0	3,600.0
ნიდერლანდების სამეფო	100.0	5.0	105.0
რუსეთი	21,500.0	1,400.0	22,900.0
თურქეთი	6,100.0	300.0	6,400.0
საფრანგეთი	32,100.0	50,600.0	82,700.0
თურქმენეთი	-	10,600.0	10,600.0
IDA	307,200.0	18,000.0	325,200.0
IBRD	89,200.0	238,800.0	328,000.0
IFAD	7,500.0	2,100.0	9,600.0
EBRD	109,700.0	50,100.0	159,800.0
EIB	48,000.0	92,000.0	140,000.0
ADB	387,300.0	128,800.0	516,100.0
IMF	48,100.0	30,100.0	78,200.0
EU	-	1,500.0	1,500.0
CEB	-	800.0	800.0
AIIB	16,000.0	22,700.0	38,700.0
NEFCO	800.0	300.0	1,100.0
ევრობონდი	-	36,400.0	36,400.0

მთავრობის საშინაო ვალი

2023 წლის 10 თვის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა 1 წლამდე ვადიანობის სახაზინო ვალდებულებების და 1 წელზე მეტი ვადიანობის სახაზინო ობლიგაციების გამოშვება. 2023 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ბოლო აუქციონებზე დაფიქსირებულმა საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთებმა საწყისი ვადიანობის მიხედვით შეადგინა: 6 თვიანზე 9.5%, 12 თვიანზე 9.3%, 5 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 3 წელი) - 8.4%, 10 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 4 წელი) - 8.3%, 11 წლიანზე (ნარჩენი ვადიანობა 11 წელი) - 8.2%.

ფასიანი ქაღალდების გამოშვების შედეგად მთავრობის საშინაო ვალის ნაშთმა 2023 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 8 290.4 მლნ ლარი, აქედან 7 965.5 მლნ ლარი წარმოადგენს ნაშთს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ნაწილში, 240.8 მლნ ლარი - „ობლიგაცია სებ-სთვის და ღია ბაზრის ოპერაციებისათვის“ ნაწილში და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებულ ნაშთი - 84.1 მლნ ლარი.

ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა ნომინალებში ვადის და ტიპის მიხედვით და საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალის ნაშთი
2023 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

ათასი ლარი

სულ	**8,160,453.2**
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	**7,835,518.0**
სახაზინო ვალდებულებები (1 წლამდე ვადის მქონე)	380,000.0
სახაზინო ობლიგაციები (1 წელზე მეტი ვადის მქონე)	7,455,518.0
სხვა ფასიანი ქაღალდები	**240,846.0**
ობლიგაცია სებ-ისთვის	80,846.0
ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	160,000.0
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი *	**84,089.2**
მ.შ. სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები	*49,051.7*

** საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, გათვალისწინებულია სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების სესხის სახით არსებული ვალი 2022 წლის დეკემბრიდან*

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებულ საპროგნოზო თანხას 3 710 000.0 ათასი ლარის ოდენობით და საშინაო ვალდებულებების მოსალოდნელ კლებას 2 210 000.0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1 500 000.0 ათას ლარს (3 710 000.0 – 2 210 000.0).

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო ობლიგაციების ძირითადი თანხის დაფარვას (სებ-ის მიმართ ვალი) – 40 000.0 ათასი ლარის ოდენობით საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 15 მაისის „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად.

სახელმწიფო საშინაო ვალდებულებების პროცენტის მომსახურებისათვის საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიით გათვალისწინებულია 790 000.0 ათასი ლარი.

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული საგარეო და საშინაო ვალის პარამეტრები უზრუნველყოფენ სახელმწიფო ვალის მდგრადობის შენარჩუნებას საშუალოვადიან პერიოდში.

მთავრობის ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2024 წლის ბოლოსთვის

ათასი ლარი

კრედიტორი	საპროგნოზო ნაშთი 31.12.2024
სულ მთავრობის საგარეო ვალის ზღვრული მოცულობა	**22,763,888**
მრავალმხრივი კრედიტორებისაგან	**17,180,785**
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	6,066,510
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი (AIIB)	529,840
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	628,998
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	2,974,809
ევროკავშირი (EU)	381,085
მსოფლიო ბანკი (WB)	5,944,990
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	104,695
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	502,765
ევროსაბჭოს განვითარების ბანკი (CEB)	38,516
სკანდინავიური გარემოსდაცვის საფინანსო კორპორაცია (NEFCO)	8,578
ორმხრივი კრედიტორებისაგან	**4,227,003**
სომხეთი	2,653
აზერბაიჯანი	3,008
ავსტრია	28,284
საფრანგეთი	2,172,259
გერმანია	1,608,997
ირანი	2,194
იაპონია	336,954
ყაზახეთი	3,272
ქუვეითი	25,653
ნიდერლანდების სამეფო	65
რუსეთი	20,560
თურქეთი	5,857
თურქმენეთი	566
ამერიკის შეერთებული შტატები	16,681
სხვა საგარეო ვალდებულებები	**1,356,100**
ევრობონდი	1,356,100
მთავრობის საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა	**9,950,016**
ეროვნული ბანკისთვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია	40,846
სხვადასხვა ვადის სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისთვის	152,000.0
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	337,235.0
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	9,397,919.0
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით არსებული ვალი	22,015.8
სულ მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა	**32,713,904**

ცხრილში გამოყენებულია 2023 წლის 23 ნოემბრის გაცვლითი კურსი: 1 EUR = 2.9558 GEL; 1 SDR = 3.6097 GEL; 100 JPY = 1.819 GEL; 1 KWD = 8.8001 GEL; 1 USD = 2.7122 GEL.